



ესეები პოლიტიკური პარტიების შესახებ:

შიდაპარტიული დემოკრატია პოლიტიკური განახლების შესაძლებლობაა



პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის პოზიციას.



© აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

ლევან ცუცქირიძე<sup>1</sup>

## შიდაპარტიული დემოკრატია პოლიტიკური განახლების შესაძლებლობა

---

*ძირითადი საკითხები: პოლიტიკური პარტიები, შიდა-პარტიული დემოკრატია.*

---

### შესავალი

ბოლო წლები დემოკრატიის სტაგნაციის წლებად მიიჩნევა. ამას მრავალი მიზეზი აქვს, იქნება ეს დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკის შენელება თუ ფულის მზარდი გავლენა პოლიტიკაზე, რაც ამომრჩეველთა პოლიტიკისგან გაუცხოებას იწვევს. ეს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში პარტიებისა და პარლამენტების მიმართ ნდობის კლებაში, პარტიაში გაწევრიანებულთა რაოდენობის შემცირებაში, წევრობის საშუალო ასაკის ზრდაში, ექსტრემისტ-პოპულისტური პარტიების გაძლიერებასა და ტრადიციული, დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების დასუსტებაში გამოიხატება.

ამ პრობლემებიდან გამოსავლის ძიებისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვან რეფორმად შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება მიიჩნევა, როგორც წინაპირობა ამომრჩეველისა თუ წევრების პარტიისადმი ნდობის გაზრდისა და მის საქმიანობაში თანამონაწილეობის გასაუმჯობესებლად. საინტერესოა, რომ ბევრი მზარდი გავლენის პოპულისტური პარტია, შიდა დემოკრატიის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიის წარმატების მთავარი განმაპირობებელი განსაკუთრებულად ნიჭიერი ლიდერი ან არა ორდინარული გარემო ხდება ხოლმე და არა ის, თუ რამდენად მაღალია დემოკრატიის ხარისხი ამა თუ იმ ორგანიზაციაში ან რაიმე სხვა. შესაძლოა ქვეყანაში ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ ავტორიტარული პარტია ხელისუფლებაში ადვილად მოვიდეს, მაგალითად ეკონომიკური კოლაფსის ან განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროს. შიდაპარტიული დემოკრატია საარჩევნო

---

<sup>1</sup>ლევან ცუცქირიძე არის აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი. მისი კვლევითი და პროფესიული ინტერესებია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და დემოკრატიული განვითარების საკითხები.

წარმატების უნიკალური გასაღები არ არის, მაგრამ ის აძლიერებს პარტიის სტაბილურობასა და მდგრადობას, განსაკუთრებით კი კრიზისების, სამთავრობო ცვლილებების თუ არჩევნებში დამარცხების დროს. მათთვის კი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნისა თუ მათივე ორგანიზაციების მომავალი და პოლიტიკური სტაბილურობა, შიდა დემოკრატია იმ გზას წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებასა და პოლიტიკურ კულტურას ახალი და უკეთესი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას უქმნის.

## ალტერნატივათა ნუსხა

პოლიტიკური ორგანიზაციების რეალური დემოკრატიზაციისათვის აუცილებელია იმ პროცესებისა და წესების რეფორმა, რომელიც უკავშირდებიან პარტიების ტრადიციულ ფუნქციებს, რომლებიც ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

- ამომრჩევლის განათლება და სოციალიზაცია
- საზოგადოებრივი ინტერესების აგრეგაცია
- პოზიციების შეჯერება და საერთო პოლიტიკის შექმნა
- კანდიდატების მოძიება და მომზადება პოლიტიკური ცხოვრებისთვის
- მონაწილეობა არჩევნებსა და პოლიტიკაში.

რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ პოლიტიკური პარტიები უფრო დემოკრატიული და ამასთანავე მეტად ეფექტური გახდნენ? როგორ შეიძლება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის დემოკრატიზაცია საქართველოში, უკრაინასა თუ სხვა ქვეყნებში? ქვემოთ განხილული ზოგიერთი წინადადება შესაძლოა დღეს ნაკლებად რეალისტური ჩანდეს, მისი პრო-დემოკრატიული შინაარსის გამო, თუმცა უკიდურესად დაბალი პოლიტიკური მონაწილეობისა და მაღალი პოლიტიკური უნდობლობის ფონზე, პარტიებს ნამდვილად მართებთ გაბედულ ნაბიჯებზე ფიქრი და მათი სტრატეგიული დაგეგმვა.

პარტიაში გაწევრიანება, ადგილობრივი და თემატური კავშირები.

### წევრობა

პარტიაში გაწევრიანება უნდა იყოს ადვილი და სწრაფი, რთული რეკომენდაციების სისტემისა და ზედმეტი შეზღუდვების გარეშე. ახალ ტექნოლოგიებს შეუძლიათ კიდევ უფრო დააჩქარონ და გააადვილონ ეს პროცესი. გაწევრიანებისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები შესაძლოა იყოს პარტიის მანიფესტის გაზიარება (ხელმოწერა) და შესაბამისი რეგისტრაციის გავლა (ონლაინ, მარტივად და სწრაფად). მრავალი პარტია წევრობის მინიჭებისას რეკომენდაციებისა და გაწევრიანების მრავალ საფეხურიან პრინციპს მიმართავს, მაგრამ ეს პარტიაში გაბატონებული ჯგუფების ჩამოყალიბების რისკსაც ქმნის.

არ არის საჭირო, პარტიის ყველა წევრს მოეთხოვოს საწევროს გადახდა, მით უმეტეს ღარიბ ქვეყნებში. მაგრამ, შესაძლოა არსებობდეს „შესაძლებლობების გრადაცია“ პარტიის მხარდამჭერებს, ამომრჩევლებს, წევრებსა და საწევროს გადამხდელ წევრებს შორის. საწევროს გადამხდელ წევრებს შესაძლოა ჰქონდეთ პარტიული თანამდებობის დაკავების თუ საარჩევნო სიაში მოხვედრის მეტი შესაძლებლობა. ზოგიერთი პარტია ამ ან მსგავს გრადაციას იყენებს კიდევ, მაგრამ ამ სისტემის განვითარება და გაუმჯობესება მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ადამიანური და სხვა რესურსების ოპტიმიზაციის, მათი პარტიულ ცხოვრებაში მეტად ეფექტურად ჩართვის თვალსაზრისით. წევრთა ფინანსური ჩართულობის წახალისება პარტიულ ცხოვრებაში მათივე მონაწილეობის ხარისხს ამაღლებს და ამით შიდაპარტიული ანგარიშვალდებულების ხარისხს ზრდის.

### პარტიული ორგანიზაციები

პარტიული ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას ავტონომიურად, პარტიული ლიდერების ჩარევისა და მათი ავტორიზების გარეშე გეოგრაფიული, თემატური, ასაკობრივი, გენდერული ან ნებისმიერი სხვა ნიშნით. ასეთი ორგანიზაცია შესაძლოა შექმნილად ჩაითვალოს პარტიის მანიფესტთან გარკვეული რაოდენობის გეოგრაფიული ან სხვა ნიშნით გაერთიანებული ადამიანების მიერთებით და (ერთი ან რამდენიმე) საჯარო ღონისძიების გამართვის შედეგად, რომელშიც საინიციატივო ჯგუფის წევრები მიიღებენ მონაწილეობას.

პარტიული უჯრედების შექმნის ასეთი დეცენტრალიზაცია შესაძლოა შეიცავდეს იმის რისკებს, რომ უპასუხისმგებლო წევრები ან კონკურენტი ორგანიზაციის პროვოკატორები პარტიის დისკრედიტაციას შეეცდებიან. მაგრამ მეორე მხრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის გაადვილება პოლიტიკური პარტიისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა, ხოლო რისკების დაზღვევის მექანიზმები არ არის რთული შესაქმნელი. მაგალითისთვის, შესაძლოა, რომელიმე ზედა დონის პარტიული მმართველობითი ორგანოსათვის ვეტოს უფლების მინიჭება, განსაკუთრებული, წინასწარ ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, პარტიული ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა და ამ ინიციატივის ინსტიტუციონალიზაცია მაქსიმალურად ახლოს უნდა იდგეს იმ პრინციპთან, რომ ეს იქ უნდა გაკეთდეს, სადაც ამის სურვილი და შესაძლებლობაა, რა თქმა უნდა სათანადო პარტიული პრინციპების დაცვითა და რისკების დაზღვევით.

### კანდიდატების მოძიება და მომზადება; არჩევნები და პოლიტიკაში მონაწილეობა

არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევა კრიტიკული საკითხია და სწორედ ამ ფუნქციის კონცენტრაცია ლიდერთა მცირე წრეებში არის კიდევ ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ნდობისა და თანამონაწილეობის შესუსტებისა პარტიულ ცხოვრებაში. პოლიტიკის მიმართ იმედგაცრუების ერთ-ერთ მთავარი მასაზრდოებელი გადაწყვეტილებების მიღების „ზემოთ“ და „შორს“ დელეგირების მრავალი დონეცაა, რაც მმართველებსა და ამომრჩევლებს ერთმანეთისგან აშორებს. ამიტომაც, მათ ხშირად სრულიად მართებულად ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ მთავარი გადაწყვეტილებები მათ გარეშე და მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად მიიღება. ამიტომაც არის აუცილებელი მეტი პირდაპირი დემოკრატიის შემოტანა პარტიულ ცხოვრებაში. აქ, რეალური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საარჩევნო სიის ფორმირების პროცესზე დასრულდეს პარტიების მთავარი მმართველი ორგანოების (პოლიტიკური და აღმასრულებელი საბჭოები) მონოპოლია, რომლებიც, როგორც წესი, პარტიებში წლების მანძილზე გაბატონებულ ჯგუფებს წარმოადგენენ და გაიზარდოს პარტიის რიგითი წევრების როლი და გავლენა. ამასთანავე, ეს პარტიის წევრებისთვის მონაწილეობისა და ჩართულობის ჯანსაღ მოტივებსა და უფრო ნათელ საარჩევნო პერსპექტივებს შექმნიდა.

საარჩევნო სიების ფორმირების რამდენიმე შესაძლო მოდელის განხილვა სასარგებლო იქნება ილუსტრაციისთვის:

არჩევნების დროს და საარჩევნო სისტემის გათვალისწინებით, ადგილობრივ ორგანიზაციებს შესაძლოა თავად ჰქონდეთ უფლება საარჩევნო სია შიდა არჩევნების/გადაწყვეტილების გზით შექმნან.

მეორე შესაძლებლობაა (იქნება ეს ეროვნული თუ ლოკალური არჩევნები) წინასწარი საარჩევნო სიების შექმნა (კანდიდატების ნომინაცია) ადგილობრივი, რეგიონული თუ სხვა ტიპის ორგანიზაციების მიერ, რომელიც პარტიული ყრილობის მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით დამტკიცდება. ასევე, შესაძლებელია, რომ ყრილობის მსვლელობისას დაშვებული იყოს საარჩევნო სიაში კანდიდატთა თანმიმდევრობის შეცვლა.

კიდევ ერთი ალტერნატივა, ეს დამოუკიდებელი პანელებისა და კომისიების გამოყენებაა. ეს შუალედური, შესაძლოა გარდამავალი მოდელიცაა და მას უკვე ბევრი პარტია იყენებს ევროპაში. ასეთი „სპეციალური კომისიები“ პარტიის ლიდერის, რამდენიმე მთავარი მმართველი ორგანოს წევრისა და პარტიისგან დამოუკიდებელი (თუმცა ასოცირებული) ავტორიტეტული პირებისაგან კომპლექტდება. ისინი საარჩევნო სიაში მოხვედრის კანდიდატებთან გასაუბრებების და მათი ბიოგრაფიის შესწავლის შედეგად, წინასწარ საარჩევნო სიას ქმნიან, რომელსაც დასამტკიცებლად ყრილობას წარუდგენენ ხოლმე. ყრილობა კი ამტკიცებს ან უარყოფს ამ სიას, ანდაც, ხმის მიცემის სხვადასხვა მოდელების საშუალებით ადგილებს უნაცვლებს წარდგენილ კანდიდატებს.

საარჩევნო სიების ფორმირების დემოკრატიზაცია მტკივნეული პროცესია, რადგანაც მაღალ პოლიტიკურ კულტურას და პარტიული ლიდერების მხრიდან პოლიტიკური კონტროლის დაკარგვის რისკის მიღებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, თუკი პოლიტიკურ ორგანიზაციას სურს რეალურ პარტიად იქცეს, საარჩევნო სიებზე ლიდერთა ვიწრო ჯგუფის აბსოლუტური კონტროლის არ არსებობა ნორმალურ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს.

## გენდერული თანასწორობა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების მონაწილეობა

საარჩევნო სიების კომპლექტაციისას, მნიშვნელოვანია გენდერული ბალანსი. პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც აქვს ამბიცია იყოს თანამედროვე ორგანიზაცია ამ მხრივ გაბედული ნაბიჯები მართებს. ეს ახალ და მნიშვნელოვან ძალისხმევას ნიშნავს, მაგრამ აუცილებელია თანასწორობის პარტიულ და პოლიტიკურ პრინციპად ქცევა. ასევე, აუცილებელია წამახალისებელი შიდაპარტიული ზომების არსებობა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების საარჩევნო სიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, იმ ფონზე, როდესაც მრავალ ქვეყანაში მათი მონაწილეობა პოლიტიკასა და პარტიულ ცხოვრებაში უკიდურესად დაბალია და ძირითადად, ვიწრო რეგიონული ელიტებით შემოიფარგლება. დამატებით, უმცირესობათა პოლიტიკური გაუცხოება ეროვნული უსაფრთხოების რისკებსაც შეიცავს.

## ამომრჩევლის განათლება, პოზიციების შეჯერება და პოლიტიკის შექმნა.

პოლიტიკური ორგანიზაციის მანიფესტები და პროგრამები უნდა იქმნებოდეს ძირითადად არა ექსპერტების, არამედ პარტიის წევრების მიერ. ამ მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს სხვა და სხვა ალტერნატივის გამოყენება შეუძლიათ.

ორგანიზაციის შექმნის (ან არსებულის რეფორმის) პირველად ეტაპზე შესაძლოა მხოლოდ ფართო და ზოგადი პრინციპების ინიცირება. სხვა საკითხები კი დასაშვებია გახდეს დაინტერესებული მოქალაქეების მსჯელობის თემა, რომლებიც შემდეგ აისახება პარტიის სრულ მანიფესტსა და საარჩევნო პროგრამაში. ასეთი ტიპის მუშაობა შესაძლებელს გახდის პარტიის საქმიანობაში ჩართულობის მიღწევას წევრთა პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის გზით.

საკითხის/თემის პროგრამაში ან მანიფესტში შეტანის ინიცირება პარტიის ნებისმიერ წევრს/წევრთა ჯგუფს/ორგანიზაციას უნდა შეეძლოს. მისი განხილვის პროცესის ვალდებულება შესაძლოა დადგეს ამ თემით დაინტერესებული გარკვეული რაოდენობის ადამიანების შეკრების შემდგომ. მისი საარჩევნო პროგრამაში არსებული ან



მოდინიცირებული სახით შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს ა) ადგილობრივ ბ) რეგიონულ გ) თემატურ ბ) ყრილობის დონეზე იმის მიხედვით, თუ რა დონის პოლიტიკური გადაწყვეტილება სჭირდება არსებული ამოცანის რეალიზებას და რა დონის არჩევნები იმართება.

როგორც დისკუსიის ინიცირების, ასე თავად მისი პროცესის უზრუნველყოფა სრულად არის შესაძლებელი თანამედროვე ინტერნეტ პროგრამების გამოყენებითაც. მათი დანერგვა რეალურად გაზრდის პარტიულ ცხოვრებაში თანამონაწილეობას, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური შეხვედრებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა ძვირია და ამისთვის საჭირო ფინანსები ყველსათვის არ არის ხოლმე ხელმისაწვდომი.

### ფული და პოლიტიკა

პოლიტიკური ფულის წარმომავლობისა და განკარგვის საკითხი დიდ წილად განაპირობებს პარტიის მიმართ ნდობას და ეფექტური წარმომადგენლობის საკითხს პარტიულ საქმიანობაში. ამ მხრივ თამამი და ამბიციური გადაწყვეტილებებია საჭირო. შესაძლო არჩევანებია:

ზედა ჭერის დაწესება პარტიისათვის ფინანსურ კონტრიბუციაზე, რაც იქნება კანონით დაშვებულ ლიმიტზე დაბალი (იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობა მაღალ ან შეუზღუდავი კონტრიბუციების შესაძლებლობას ითვალისწინებს) და შეზღუდავს დიდი დონორების მიერ პარტიული ცხოვრების გაკონტროლების შესაძლებლობას;

ბიუჯეტის ხარჯვის ავტონომიურობა: უნდა არსებობდეს ცალკე საბიუჯეტო მუხლები ახალგაზრდული, ქალთა თუ სხვა ორგანიზაციებისათვის (საერთო ბიუჯეტის პროცენტული რაოდენობის სახით), რომელთაც ისინი დიდ წილად ავტონომიურად, პარტიულ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად განკარგავენ საკუთარი უჯრედის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ფინანსების განკარგვის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილ უნდა იყოს შიდაპარტიული მექანიზმებითა და წესებით, ხოლო პარტიული ფინანსების ხარჯვა ასევე შესაძლოა სრულიად საჯარო და მარტივად ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისათვის.

## თანამედროვე ტექნოლოგიები პარტიულ გადაწყვეტილებებში

ტექნოლოგია ხშირად წარმოუდგენიათ, როგორც უშუალო კავშირების და რეალური ქმედებების შემცვლელი, რაც არასწორია – პირადი და უშუალო ურთიერთობა მნიშვნელოვანია ადამიანთა ორგანიზებისთვის. მაგრამ ამ ეტაპის ტექნოლოგიებს შეუძლიათ შეავსონ და გააუმჯობესონ ტრადიციული პოლიტიკური პროცესი და დაზოგონ რესურსები. გლობალურად, ინტერნეტის შეღწევადობა განუხრელად იზრდება, მათ შორის საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ასევე მიმზიდველია ახალგაზრდებისათვის, რომლებიც პოლიტიკით ნაკლებად ინტერესდებიან. პოლიტიკური პარტიების „გაციფრულების“ შესაძლებლობა არსებობს, მრავალი პარტია უკვე დგას ამ გზაზე და ამის საჭიროება ყველა დანარჩენის დღის წესრიგშიც უნდა მოხვდეს.

## დემოკრატიის რისკები

ერთი შეხედვით პარადოქსულად ჩანს, მაგრამ შიდა დემოკრატიის გაფართოებას შესაძლოა ასევე მოჰყვეს ანტი-დემოკრატიული და ანტი-ლიბერალური დინებების გაძლიერება, იმ შემთხვევაში, თუკი მაგალითად ამა თუ იმ პარტიის წევრთა უმრავლესობა რასისტულ პოლიტიკურ პლატფორმას გაიზიარებს ან მაგალითად, შეეცდება ქალთა მონაწილეობის შეზღუდვას პარტიაში. შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღების გახსნილობა და მასში მონაწილეობა იმდაგვარად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ ასეთი რისკები გამოირიცხოს. ეს მიღწევადია დემოკრატიული ფუძემდებლური პრინციპების მიმართ პარტიის წევრებისა და პარტიული ლიდერების რეალური ერთგულებით (პოლიტიკური კულტურის განზომილება) და ისეთი ორგანიზაციული ბალანსისა და შეკავების სისტემების შექმნით (ორგანიზაციული განზომილება), რომლებიც საჭიროების შემთხვევაში (და მხოლოდ ასეთის შემთხვევაში) მოახდენენ დემოკრატიული ფასეულობების დაზღვევას.

--

პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ მზარდი იმედგაცრუება მოჯადოებულ წრეს ქმნის. მოსახლეობის ნაკლები ჩართულობით მართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელთაც არ გააჩნიათ მაღალი ლეგიტიმაცია, რეალურად მსხვილი

კორპორაციები და შემომწირველები ეპატრონებიან. ზოგიერთ ქვეყანაში, ოლიგარქიული ბიზნეს სტრუქტურა სარკისებურად აისახება პოლიტიკურ ლანდშაფტზე, სადაც პარტიები კორპორატიული ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციები ხდებიან. ზოგან კი მსხვილი დონორები, ხშირად მხოლოდ მმართველი პარტიის მხარდამჭერებად გვევლინებიან, რაც ამ ქვეყნებში პოლიტიკურ კონკურენციას ასუსტებს, ზრდის პოლარიზაციას და ქმნის ძალადობრივი პოლიტიკური ცვლილების ნოყიერ ნიადაგს.

ამიტომაც, ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანიც იქნება საკუთარი ორგანიზაციის განახლება, ძირითადი პარტიული ფუნქციების რეალურ და გონივრულ დემოკრატიზაციას უნდა შეეცადოს. ეს მათ მისცემს ახალ შესაძლებლობას მიიზიდონ ახალი ადამიანები, მოიფიქრონ უკეთესი იდეები და შექმნან ახალი ენთუზიაზმი პოლიტიკის მიმართ.